არმაზისხევი

მას შემდეგ, რაც XX ს-ის 30-იანი წლების დასასრულს არმაზისხევის არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლინდა ქართლის სამეფოს მაღალი იერარქების სამარხები და ბერძნულ-არამეული წარწერები, არ განელებულა მეცნიერული ინტერესი პიტიახშთა სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტის მიმართ. მისი არსის გარკვევას შეეხო არაერთი მკვლევარი, არაერთ სამეცნიერო ნაშრომში გამოითქვა მოსაზრება არმაზისხევისა და. ზოგადად, პიტიახშის ინსტიტუტის რაობაზე.

არმაზისხევი

არმაზისხევის პიტიახშთა სახლში საკვანძო ფიგურა ასპარუგია. არმაზისხევის ნეკროპოლის ყველა ცნობილი პიროვნება მის ირგვლივ ტრიალებს და სწორედ ასპარუგია ყველა მათგანის, ასე ვთქვათ, გასაღები. მის გვერდით დაკრძალულია

კარპაკი, რომელიც, ცხადია, ვერ მიიჩნევა მის მეუღლედ წარწერის _ „ზევახ სიცოცხლეა ჩემი“ გამო. ეს ქალი ასპარუგის გვერდითაა დაკრძალული. ამიტომ, ცხადია. მისი ოჯახის წევრია, ანუ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ქალიშვილია. კარპაკის მეუღლეა ზევახი. ეს ზევახი უნდა იყოს სერაფიტას მამაც, ანუ სერაფიტა ასპარუგის შვილიშვილი და კარპაკის ასულია.

თავის მხრივ, სერაფიტას მამა ზევახი მცირე პიტიახშია. სათანადო ფაქტების უქონლობის გამო არ ვიცით, სად არის დაკრძალული ეს ზევახი. არმაზისხევში მისი სამარხი არაა. ანუ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მცირე პიტიახშებს საკუთარი ნეკროპოლი ჰქონდათ? მაშ, რატომაა მისი მეუღლე დაკრძალული მამის გვერდით და არა მის გვერდით?

ასფაგურ პიტიახშისა და კარპაკის სამარხები

კიდევ უფრო დამაბნეველია სერაფიტას დაკრძალვის ფაქტი არმაზისხევში. იგი ხომ გათხოვილი ქალია და თან მისი მეუღლეა რანგით პიტიახშებზე მაღლა მდგომი ეზოსმოძღვარი იოდმანგანი. აქ მხოლოდ ორი ვარაუდი შეიძლება არსებობდეს: კარპაკიც და სერაფიტაც ასპარუგის სიცოცხლეშივე გარდაიცვალნენ და ასპარუგმა იზრუნა, რომ შვილი და შვილიშვილი საგვარეულო სასაფლაოზე დაეკრძალა ან, უბრალოდ, ქართლის მაშინდელ არისტოკრატიას წესად ჰქონდა, რომ ქალები მამისეულ მამულში დაეკრძალათ. მართალია, ზევახიც პიტიახშია, მაგრამ, როგორც ჩანს, მცირე პიტიახშის რანგი ასპარუგის შეწინააღმდეგების ნებას არ აძლევდა.

მეორე პიტიახში ამ სამაროვანზე ბერსუმაა. სავარაუდოდ, ის ასპარუგის მომდევნო პიტიახში და მისი ძეა, თავად ასპარუგი კი შარაგასის ძეა.

ზევახი და კარპაკი

ა.აფაქიძემ თავის მონოგრაფიაში „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“ შეცვალა “მცხეთა I-ის” თანაავტორებთან ერთად ადრე გამოთქმული შეხედულება და პიტიხშთა სამარხებად მიიჩნია მხოლოდ ასპარუგისა და ბერსუმას სამარხები, ხოლო არმაზისხევის მეორე, მეექვსე, მეშვიდე და მეცხრე სამარხები მიაკუთვნა პიტიახშის ოჯახის წევრებს. მისივე მოსაზრებით, ბილინგვაში მოხსენიებული ზევახი (ჯავახი) იყო ასპარუგის ვაჟი და, იმავდროულად, ფარსმან მეფის პიტიახში. ამასთან, იგი უფრო აძველებდა ასპარუკის საპიტიახშო ბეჭდის თარიღს და მას მიიჩნევდა შარაგასის სტელის თანადროულად. ამით იგი ცდილობდა, ასპარუგ პიტიახში გაეიგივებინა შარაგასის წარწერაში მოხსენიებულ ასპარუკთან. ასე თითქოს ქრონოლოგიური შეუსაბამობაც და მემკვიდრეობითობის რიგიც სწორდებოდა. თუმცა, თუ ასპარუგის სამარხი II ს-ისაა, როგორღა იქნება ერთი და იგივე პიროვნება I და II სს-ში მცხოვრები ასპარუგი, ამაზე პასუხი არაა და, ცხადია, რომ საქმე გვაქვს ორი სხვადასხვა ასპარუგის ხელოვნურ გაიგივებასთან. საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად ა.აფაქიძე მიიჩნევს, რომ არმაზისხევის პირველი სამარხი ეკუთვნის არა ასპარუგს, ვისი საპიტიახშო ბეჭედიც აღმოჩნდა აქ, არამედ მის შვილ ზევახ (ჯავახ) მცირეს.

ერთი შეხედვით, ასეთი ვარაუდის ხელის შემშლელი პირობა უნდა ყოფილიყო ასპარუგის საპიტიახშო ბეჭედი, მაგრამ პასუხი აქაც მოიძებნა. მისი აზრით, საბეჭდავი ეკუთვნოდა, რა თქმა უნდა, ასპარუგს და ზევახს ჩატანებული ჰქონდა მამამისის ბეჭედი. მოსაზრების დასასაბუთებლად ის იშველიებს რამდენიმე შემთხვევას არმაზისხევისა და ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგიდან. არმაზისხევის მეორე სამარხში აღმოჩენილ ერთ ბეჭედზე ამოკვეთილია სამი ბერძნული ასო _ ΔVX, ხოლო ბაგინეთის კლდეკარის აკლდამაში აღმოჩენილია ვერცხლის კოვზი წარწერით _ „მეფისა“. თუმცა სამარხი ეკუთვნის არა მეფეს, არამედ მეფის ასულს. არამაზისხევის მეექვსე სამარხშია აღმოჩენილია ბეჭედი წარწერით - “ზევახ” (ჯავახი). არ გამოირიცხება, რომ ბეჭედი ზევახ (ჯავახ) მცირის ერთ-ერთ შვილს ეკუთვნის.

გამოდის, რომ შვილების სამარხებში ჩატანებულია მამის სახელიანი საბეჭდავები და ბეჭდები.

კარპაკის ოქროს ბალთის წარწერაში მოხსენებული ზევახისა და სერაფიტას წარწერისეული ზევახის იგივეობას არ გამორიცხავდა გ.წერეთელიც. თუმცა, იგი არ იზიარებდა ვარაუდს ამ ზევახისა და შარაგასის სტელაზე მოხსენიებული ზევახის იდენტურობის შესახებ მათ შორის საუკუნოვანი სხვაობის გამო.

ასპარუგის სამარხის ჯავახის სამარხად გამოცხადებით ა.აფაქიძემ გამოკვეთა ქართლის პიტიახშთა დინასტია, იგივე ჯავახთა დინასტია, რომელიც ასე გამოიყურება: შარაგასის მამაა ჯავახი, შარაგისის ძმისწულია ჯავახ უმცროსი და ასპარუკის ბადიშია სერაფიტა.

საკმაოდ თავისებურად და ორიგინალურადაა განხილული შარაგასის სტელის პრობლემაც. ა.აფაქიძის მოსაზრების თანახმად, სტელა თავდაპირველად, აღმართული უნდა ყოფილიყო მცხეთაში. ანალოგიური მოსაზრება გაიმეორა გ.აბრამიშვილმაც და სტელა მიიჩნია იბერიის მეფე მითრიდატე II-ის მემორიალად. თუმცა, არც ერთ ავტორს დამაჯერებლად არ უჩვენებია, რატომ უნდა მდგარიყო სტელა მაინცადამაინც მცხეთაში და მაინცადამაინც მეფის საფლავზე ან ისეთი ვინ უნდა ყოფილიყო არმაზისხევის მეოთხე სამარხში დაკრძალული პირი, რომ მეფის მემორიალი საგანგებოდ მოეტანათ მცხეთიდან მისი სამარხის მოსაწყობად? თან იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სამარხის ერთი მხარე სერაფიტას ეპიტაფიაა, მაშინ გამოდის, რომ ეს პიროვნება ყველაზე აღმატებული უნდა ყოფილიყო ქართლის მაშინდელ საზოგადოებაში. ცხადია, რომ მსგავსი არაფერია და აქ უფრო იმის დაშვება შეიძლება, რომ მეოთხე სამარხი იმ დროისაა, როდესაც არმაზისხევის პიტიახშების შესახებ მახსოვრობა საზოგადოებაში გამქრალია და პიტიახშისა (შარაგასი) და პიტიახშის ოჯახის წევრის (სერაფიტა) სამარხები აღარაა ამ საზოგადოებისთვის ხელშეუხებელი წმინდა ადგილები. თვით ამ სამარხების შესახებაც გამქრალია ხსოვნა და ერთადერთი, რაც მათგანაა შემორჩენილი და თვალსაჩინო, სტელებია და მათ

იყენებდნენ კიდეც ახალი სამარხის მოსაწყობად. ამიტომ უფრო სარწმუნო ჩანს, რომ შარაგასის სტელა, ისევე როგორც სერაფიტას ეპიტაფია, თავიდანვე არმაზისხევის



(სერაფიტას წარწერა)

ნეკროპოლზე იდგა და ის აქ არსაიდან არ მოუტანიათ. სწორედ იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომ მასში სტელებია ჩაშენებული, მეოთხე სამარხს პიტიახშის საძვალედ მიიჩნევენ ძეგლის გამთხრელები. სამარხი პირწმინდად გაძარცვულია და მასში არ დასტურდება არც ერთი არტეფაქტი. ასე რომ, მისი ხნოვანების შესახებ წარმოდგენა შეიძლება შევიქმნათ მხოლოდ სტელების მეშვეობით. ცხადი ხდება, რომ იგი არ შეიძლება განიხილებოდეს პიტიახშთა და მათი ოჯახის წევრების თანადროულ კომპლექსად იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ერთი პიტიახშის სამარხისთვის არ მოშლიდნენ და არ დაარღვევდნენ ორი არისტოკრატის საძვალის

მთლიანობას. უფრო მართებული იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ მეოთხე სამარხში დაკრძალულია პიროვნება, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს პიტიახშთა საგვარეულოსთან. ბუნებრივია, ის არც პიტიახშია და არც არმაზისხევის პიტიახშების დროს ცხოვრობდა. შესაბამისად, სამარხიც შედარებით მოგვიანო ხანისა უნდა იყოს (IV ს). ყოველ შემთხვევაში, იგი მაშინ გაუმართავთ, როდესაც არმაზისხევის პიტიახშთა სახლს უკვე დაკარგული აქვს სოციალურ-პოლიტიკური კონტინუიტეტი.

დიდი ალბათობით პიტიახში უნდა ყოფილიყო დაკრძალული მეორე სამარხშიც. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია ამ სამარხში ვერცხლის პინაკის არსებობა, რომელზეც გამოსახულია სასანიანი დიდებულის პორტრეტი. მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პინაკის წარწერა, რომელიც შესრულებულია საშუალო სპარსულ (ფალაურ) ენაზე. აღნიშნული წარწერა გ.წერეთელის თარგმანის მიხედვით ასე გამოიყურება: “პიტიახში ღვთაებრივი არდაშირისა ღვთაებრივი (პაპაკის?) ძისა”. გ.წერეთლისავე მოსაზრებით, პინაკის ცენტრში გამოსახული წარჩინებული სასანიანი უნდა იყოს ამ დინასტიის დამაარსებელი არდაშირ I. ამავე საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება ეკუთვნის შ. ამირანაშვილს, რომელიც მიიჩნევდა, რომ პინაკის ცენტრში გამოსახულია არა არდაშირ I, არამედ პიტიახში პაპაკი. შ.ამირანაშვილმა გ.წერეთლისგან განსხვავებულად წაიკითხა ხსენებული წარწერაც: “ფაფაკ პიტიახში ღვთაებრივი არდაშირისა, ღვთაებრივი ფაფაკის ძისა გურზან ქვეყნის პიტიახშს არმაზესს უძღვნის.” ამ ეტაპზე შეიძლება აღინიშნოს, რომ არ არსებობს ობიექტური მიზეზი, რომ არ დავეთანხმოთ და არ გავიზიაროთ შ.ამირანაშვილის ზემოთ ნახსენები მოსაზრება წარწერაში პიტიახშ არმაზესის მოხსენიებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, არმაზისხევის მეორე სამარხი, რომელიც თარიღდება III ს-ის II ნახევრით, შეიძლება მივიჩნიოთ პიტიახშ არმაზესის განსასვენებლად. ვითარებას არსებითად არ ცვლის ის გარემოება, რომ მეორე სამარხში დაკრძალული დიდვაროვანი ქალია. არაერთი მაგალითის მოხმობა შეიძლება საქართველოს ანტიკური ხანის ისტორიიდან და არქეოლოგიიდან, როდესაც ქალები ახორციელებენ ამა თუ იმ საგამგეო ერთეულის უმაღლეს

ხელისუფლებას. ამ მხრივ საირხის , ითხვისისა და ვანის ცნობილი აღმოჩენებიც საკმარისია.

თუ გამოთქმული ვარაუდები სინამდვილესთან ოდნავ მაინც ახლოსაა, ვიღებთ სურათს, რომლის მიხედვითაც არმაზისხევის სამაროვანზე ცნობილია სულ სამი პიტიახში და მათი საძვალეებია _ I, II და III სამარხები, ხოლო პიტიახშების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ასეთი იქნება: ასპარუგი (I სამარხი), ბერსუმა (III სამარხი) და არმაზესი (II სამარხი). არმაზისხევის პიტიახშების ზეობის ხანად კი განისაზღვრება I ს-ის II ნახევარი _ III ს-ის II ნახევარი. მართალია, I ს-ში მოღვაწე შარაგასისა და მამამის - პიტიახშ ზევახის სამარხები მიკვლეული არ ყოფილა, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ზევახი არმაზისხევის პიტიახშთა სახლის პირველი პიტიახშია. აქედან გამომდინარე, არმაზისხევის პიტიახშების თანმიმდევრობა ასეთ სახეს მიიღებს: ზევახი-შარაგასი-ასპარუგი-ბერსუმა-არმაზესი. ასე რომ, არმაზისხევში სულ ხუთი პიტიახშია დაკრძალული, რაც ორი საუკუნისთვის სავსებით მისაღები მოვლენაა. მათგან სამის სამარხი ცნობილია, ხოლო გაძარცვულ სამარხებთაგან ორში შეიძლება ზევახი და შარაგასი დაეკრძალათ.

და ბოლოს, საჭიროდ მივიჩნევთ, გამოვთქვათ ვარაუდი არმაზისხევის პიტიახშების სამაროვნისა და შემორჩენილი ნაგებობების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით. “მცხეთა I-ის” ავტორები მიიჩნევდნენ, რომ არმაზისხევში შემორჩენილი ოთხი ნაგებობა (ე.წ. ზღურბლიანი, ერთსენაკიანი, ორსენაკიანი და აბანო) პიტიახშთა სამარხების თანადროული უნდა ყოფილიყო და ეფუნქციონერა II-III სს-ში. ამ მოსაზრებიდან რამდენადმე განსხვავებულ აზრი გამოთქვა ა.აფაქიძემ და ე.წ. ორსენაკიანი ნაგებობა მიიჩნია მავზოლეუმად თუ ეკვდერად და მისი აგების თარიღი დაუკავშირა ასპარუგის სამარხის გამართვას _ II ს-ის II ნახევარს.

ამ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება ეკუთვნის კ.ხიმშიაშვილს. სათანადო პარალელებისა და ნაგებობების სამშენებლო ტექნიკის შესწავლის საფუძველზე იგი მიიჩნევს, რომ არმაზისხევის ნაგებობები და ერისთავ-პიტიახშთა

სამარხები არაა თანადროული და ნაგებობები სამარხების ჩასადგმელად გამოუყენებიათ იმ დროს, როდესაც ნაგებობები უკვე დანგრეული იყო. აქედან გამომდინარე, II ს-ის II ნახევრისთვის აქ არსებული ნაგებობები უკვე განადგურებულია და მათი არსებობის თარიღად მკვლევარი განსაზღვრავს ახ. წ. I ს-სა და II ს-ის დასაწყისს.

ჩემი აზრით, კ.ხიმშიაშვილის აღნიშნული მოსაზრება ყველაზე ახლოსაა სიმართლესთან. არქიტექტურულ კონტექსტსაც რომ თავი დავანებოთ, უბრალოდ, წარმოუდგენელი ან ძალიან ძნელი წარმოსადგენია ერთსა და იმავე დროს ასეთ მცირე ტერიტორიაზე ერთდროულად ფუნქციონირებდეს პიტიახშების რეზიდენცია, აბანო და სასაფლაო. რომ არ არსებობდეს ქრონოლოგიური შეუსაბამობაც, სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისითაც ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება რეზიდენციიდან და აბანოდან სულ რამდენიმე მეტრში სასაფლაოს გამართვა. ასეთი პრაქტიკა უცნობია ელინისტურ-რომაული ხანისთვის და, ცხადია, არმაზისხევი ამ თვალსაზრისით გამონაკლისი ვერ იქნება.

კ.ხიმშიაშვილის აღნიშნული მოსაზრება შესაძლებელია, დაზუსტდეს შიდა ქართლის მეორე ეტალონური ძეგლის _ დედოფლის გორის მონაცემების გათვალისწინებით. მხედველობაშია არმაზისხევის ნაგებობების განადგურების თარიღი და ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზები.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ დედოფლის გორის სასახლე განადგურებული უნდა იყოს ახ.წ. I ს-ის დასასრულს ძლიერი მიწისძვრის შედეგად.

წერილობით წყაროებში ამ ეპოქის ქართლის სამეფოში არ დასტურდება რაიმე დიდი ნგრევა თუ კატასტროფა, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა საომარ მოქმედებებთან. ესაა დიდი მეფეების _ ფარსმან I-ისა და მითრიდატე II-ის ზეობის ხანა. არმაზისხევშივე აღმოჩენილი შარაგასის სტელის წარწერიდანაც ნათლად ჩანს, რომ ამ პერიოდის ქართლის მეფეები ,,მრავალ გამარჯვებათა მომპოვებლები“ არიან, ამიტომ სავსებით მართალია ი.გაგოშიძე, როდესაც დედოფლის გორის სასახლის

განადგურებას უკავშირებს არა საომარ მოქმედებებს, არამედ მიწისძვრას. როგორც ჩანს, აღნიშნული სეისმური მოვლენა იმდენად ძლიერი იყო და ისე გაანადგურა დედოფლის გორის სასახლე, რომ მის აღდგენაზე აღარავის უფიქრია. არ გამოირიცხება, რომ სწორედ აღნიშნულ მიწისძვრას გამოეწვია არმაზისხევის ნაგებობების ნგრევაც. თუ ეს ვარაუდი მართებულია, მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დგება, უფრო ზუსტდება ნაგებობებთან დაკავშირებული კ.ხიმშიაშვილის მიერ შემოთავაზებული თარიღიც და საშუალება გვეძლევა, ვიფიქროთ, რომ არმაზისხევის ნაგებობები ფუნქციონირებდა ძვ.წ. I ს-ის მიწურულიდან ახ.წ. I ს-ის 70-იან წლებამდე (იხ.ქვემოთ). სწორედ ეს პერიოდი ხასიათდება ქართლის სამეფოში მანამდე არნახული მშენებლობების ბუმით. ამისთვის გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო ქართლის სამეფოსა და რომს შორის ურთიერთობის ფაქტორი.

აქვე შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ 1867 წელს მცხეთაში აღმოჩენილ ვესპასიანეს ცნობილ წარწერაში სწორედ ამ მიწისძვრის შედეგად დაზიანებული კედლების გამაგრებაზე იყო საუბარი. თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ ქართლში ძლიერი მიწისძვრა, რომელმაც შეიწირა დედოფლის გორისა და არმაზისხევის რეზიდენციები და საფუძვლიანად დააზიანა მცხეთის სასიმაგრო კედლები, უნდა მომხადრიყო ახ. წ. I ს-ის 70-იან წლებში, არაუგვიანეს 75 წლისა.

რაც შეეხება ქართლის სამეფოში, ზოგადად, პიტიახშების ინსტიტუტის გაჩენას, მის ქვედა ქრონოლოგიურ თარიღად შეიძლება ვივარაუდოთ ძვ.წ. I საუკუნის მიწურული თუ არა, ახ.წ. I ს-ის დასაწყისი მაინც, რადგან, პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, სწორედ ამ პერიოდში უნდა წარმოქმნილიყო ქართლის სამეფოს საგამგეო ერთეულები – საერისთავოები _საპიტიახშოები.

ამრიგად, ყოველივე ზემოთ თქმული იძლევა საფუძველს, გამოვთქვათ რამდენიმე ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ არმაზისხევის აღნიშნული ტერიტორია თავიდანვე იყო პიტიახშების კუთვნილი მიწა, სადაც ძვ.წ I ს-ის დასასრულს-ახ.წ. I ს-ის 70-იან წლებამდე ფუნქციონირებდა მათი რეზიდენცია, აბანო და სხვა დამხმარე

ნაგებობები; მიწისძვრის შედეგად თითქმის ყველა ნაგებობა განადგურდა და ისინი აღარ აღუდგენიათ; ახ.წ. I ს_ის დასასრულიდან აქ უკვე პიტიახშებისა და მათი ოჯახის წევრების განსასვენებელია, ხოლო II-III სს-ის მათივე რეზიდენციის ადგილმდებარეობა ჯერჯერობით უცნობია.

შარაგასის სტელა